LLC "POTI FOUNDRY"

MALTAKVIS SANAPIRO №7, 4400 POTI, GEORGIA

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ „ქ. ფოთში, შპს „ფოთი ფაუნდრი"-ს მეორადი ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოების ქარხნის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 ივლისის N2-660 ბრძანების საფუძველზე, ქ. ფოთში ლარნაკის ქუჩა N5-ში მოწყობილი გვაქვს მეორადი ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოების ქარხანა. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით საწარმოს საქმიანობის სფეროა სპილენძის მეორადი ნედლეულის (ჯართის) გადამუშავება სპილენძის სხმულების (ნამზადის) წარმოება. ფერადი ლითონების ბაზარზე უკანასკნელ პერიოდში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, შპს „ფოთი ფაუნდრი"-ს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ნაცვლად სპილენძის სხმულების წარმოებისა, საწარმოში მოხდეს ალუმინის ჯართის გადამუშავება და შესაბამისად ალუმინის სხმულების წარმოება წელიწადში 5000 ტონის რაოდენობით. აღსანიშნავია, რომ სპილენძის წარმოების ნაცვლად ალუმინის წარმოება არ საჭიროებს ტექნოლოგიური დანადგარ მოწყობილობის ან ტექნოლოგიური ციკლის შეცვლას და საქმიანობა განხორციელდება არსებული ტექნოლოგიური დანადგარების 2020 წლის 28 ივლისის N2-660 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით. საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის, მე-12 პუნქტის შესაბამისად, „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა". თუ გავითვალისწინებთ, რომ შპს „ფოთი ფაუნდრი"-ს საწარმოში ნაცვლად სპილენძის სხმულების წარმოებისა დაგეგმილია ალუმინის წარმოება და ამასთანავე იზრდება წარმოებული პროდუქციის რაოდენობა (ნაცვლად 3000 ტ/ს-სა იქნება 5000 ტ/წ), საქმიანობა უნდა განხორციელდეს სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე. გამომდინარე აღნიშნულიდან, წარმოგიდგენთ შპს „ფოთი ფაუნდრი"-ს მეორადი ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოების ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას. წერილს თან ერთვის: • შპს „ფოთი ფაუნდრი"-ს მეორადი ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოების ქარხნის

№ 21055
30 12 2020
2

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიში - ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია; • საქმიანობის განხორციელების ადგილის გეოგრაფიული კოორდინატები GIS ფორმატში და სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია CD დისკზე.

პატივისცემით, ვახტანგ ალანია

შპს „ფოთი ფაუნდრი“-ს დირექტორი

"ფოთი ფაუნდრი" "POTI FOUNDRY" LTD 415104639